ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2727271

ნომერი: AR1421943

თარიღი : 13.07.2016

გაცემის თარიღი : 20.07.2016

გაცნობის თარიღი : 23.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 11 , (ნაკვ. 03/100) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 / ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- პაატა ეზიეშვილი პ/ნ 35001007755
- რუსთავი გ.ლეონიძის ქ. კორ. 28 ბ. 31

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "ისეკო" კოდი: 406027838

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

2015 წლის 04 აგვისტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობა არის ორსართულიანი, ხოლო 2016 წლის 04 თებერვლის საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა არის ერთსართულიანი, გარდა ამისა აღნიშნულ შეუსაბამობასთან ასევე შეუსაბამობაში მოდის არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, რომლებზეც დაფიქსირებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა დღეის მდგომარეობით არის კვლავ ორისართულიანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მოხდა პირვანდელი ორსართულიანი შენობის მეორე სართულის დემონტაჟი, რის შემდეგაც შენობა საკადასტრო გეგმაზე დაფიქსირდა ერთსართულიანად და აღნიშნულის შემდეგ კვლავ მოხდა შენობაზე მოერე სართულის დაშენება. შესაბამისად გაურკვეველია მეორე სართულის კანონიერების საკითხი. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ განხორციელებული დაშენების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური უნებართვოდ განხორციელებული სამუშაოების შემდგომ განვითარებაზე ნებართვას ვერ გასცემს. ასეთ შემთხვევაში `მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილიაიმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვისგამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ ასევე გაითვალისწინეთ:

1. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი" - მოთხოვნის ტექსტსი დააკონკრეტეთ ობიექტის ნუმერაცია საკადასტრო გეგმის მიხედვით და დეტალურად (პუნქტობრივად) განმარტეთ ინფორმაცია ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ასევე განმარტეთ ინფორმაცია, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ითვალისწინებს თუ არა შენობის სახურავის კეხისა და ქანობის ცვლილებას.
2. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - ატვირთეთ უშუალოდ სარეკონსტრუქციო შენობის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული ახლო და შორო მანძილიდან, სადაც ფოტოაპარატის მიერ დაფიქსირებული იქნება გადაღების თარიღი
3. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - გაითვალისწინეთ: წარმოადგინეთ გვერდითა ხედიდან გადაღებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი და გაითვალისწინეთ, რომ არ უნდა მოხდეს კიბესთრან არსებული ნაგებობის დემონტაჟი ან/და დაზიანება.

გარდა ამისა:
- სარეკონსტრუქციო შენობის ანაზომზე დაიტანეთ საკადასტრო საზღვრები,
- ანაზომზე და I სართულის გეგმაზე დატანილი გაბარიტული ზომა არ შეესაბამება ერთმანეთს,
- "დ-ა" ღერძებში ნაჩვენები საპროექტო კიბის საფეხურიები სცდება საკადასტრო საზღვარს, ამავე და "1-3" ღერძებში განთავსებული ღიობებით ირღვევა მიჯნის ზონა (ს/კ #01.19.34.003.152 ნაკვეთთან მიმართებაში). მოიყვანეთ კანონთან შესაბამისობაში, კერძოდ ახალი ღიობების ნაცვლად მოეწყოს მინაბლოკი, ხოლო კიბის საფეხურები განათავსეთ თქვენს საკადასტრო საზრვრებში, რაც შეეხება საპროექტო კარის ღიობს, ამ ნაწილში ვერ მოეწყობა, შესაბამისად მოიძებნოს სხვა ალტერნატიული შესასვლელი.

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.